



## შეიძლება GBS ინფექციის შეჩერება?

მიუხედავად სკრინინგისა და მკურნალობისა, ზოგიერთ ჩვილს მაინც განუვითარდება GBS ინფექცია. სკრინინგის და ანტიბიოტიკების მიზანია თქვენი ბავშვისთვის რისკის შემცირება, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს რისკს მთლიანად. თუ თქვენს პატარას განუვითარდა GBS

ინფექცია მას საავადმყოფოში ყოფნისას ანტიბიოტიკებით უმკურნალებენ.

*დაელაპარაკეთ თქვენს  
ბებიაქალს ან ექიმს თქვენს  
შემდეგ შეხვედრაზე, თუ გაქვთ  
ნებისმიერი შეკითხვა GBS-ის  
შესახებ.*

დამატებითი  
ინფორმაცია  
[www.rotunda.ie](http://www.rotunda.ie)  
[www.HSE.ie](http://www.HSE.ie)  
[www.gbss.org.uk](http://www.gbss.org.uk)

## ბ ჯგუფის სტერპტოკოკი (GBS) ორსულობის დროს


საინფორმაციო ბუკლეტი



## რა არის ბ ჯგუფის

### სტრეპტოკოკი (GBS)?

B ჯგუფის სტრეპტოკოკები (GBS) არის ბაქტერიების გავრცელებული ტიპი, რომელიც გვხვდება საშოში, შარდში ან სწორ ნაწლავში (უკანა გასასვლელში). ბაქტერიები ჩვეულებრივ არ არის მავნე. თუმცა, GBS შეიძლება გადაეცეს თქვენს პატარას მშობიარობისა და დაბადების დროს და გამოიწვიოს სიცოცხლისათვის საშიში ინფექციები, მათ შორის სისხლის მოწამვლა, მენინგიტი და პნევმონია.



### ვინ არის რისკის ქვეშ?

ზოგიერთ ორსულ ქალს სხვაზე მეტად ემუქრება ბავშვის გაჩენის რისკი, რომელსაც განუვითარდება GBS ინფექცია და, შესაბამისად, შესთავაზებენ სკრინინგს ან ანტიბიოტიკებს მშობიარობისას, როგორც საჭიროა.

თქვენ ხართ მაღალი რისკის ქვეშ, თუ:

- წყალი დაღვარეთ ბავშვის დაბადებამდე 24 საათით ადრე
- მშობიარობთ ან წყალი ნაადრევად ღვრით (37 კვირამდე)
- გაქვთ მომატებული ტემპერატურა მშობიარობის დროს (38°C და მეტი)
- ორსულობისას დაგიდგინდათ GBS ინფექცია
- ინფექცია დაგემართათ მშობიარობისას მანამდე გყავდათ ბავშვი GBS ინფექციით

### სკრინინგი GBS

GBS-ის სკრინინგს ირლანდიაში არ სთავაზობენ ყველა ქალს. როტუნდას ჰოსპიტალში, ყველა ქალს ექნება შარდის ნიმუშის შემოწმება ვიზიტის დროს, რათა გამოიკვლიოს GBS. ქალებს, რომლებიც წყალს ღვრიან (მაგრამ არ მშობიარობენ) და ქალებს, რომლებსაც აქვთ დაგეგმილი მშობიარობის ინდუქცია, სთავაზობენ GBS სკრინინგს. თუ ალერგიული ხართ პენიცილინის მიმართ, GBS-ის სკრინინგი შემოგთავაზებთ 35-დან ორსულობის 37 კვირაზე პენიცილინის შესაფერისი ალტერნატივის გამოსავლენად. ნაცხი იღება, უჯრედების ნიმუშის აღება ხდება საშოდან და სწორი ნაწლავიდან (უკან გასასვლელი) ეს ნიმუში გაიგზავნება ლაბორატორიაში, სადაც ხდება მისი ანალიზი.



### GBS ანტიბიოტიკით მკურნალობა

ქალებს, რომლებსაც აქვთ ახალშობილზე GBS ინფექციის გადაცემის გაზრდილი რისკი, შესთავაზებენ ანტიბიოტიკებს მშობიარობის დროს წვეთოვანი გზით. ამ ანტიბიოტიკებს (ჩვეულებრივ პენიცილინს) სთავაზობენ ყოველ 4 საათში მშობიარობის დაწყებიდან ბავშვის დაბადებამდე. თუ თქვენ გაქვთ ცნობილი ალერგია პენიცილინის მიმართ, შესაბამისი ალტერნატივა შემოგთავაზებთ.



### GBS ინფექცია თუ წყალი

#### დაღვარეთ მშობიარობამდე

თუ წყალი იღვრება (ორსულობის 37 კვირის შემდეგ) მაგრამ თქვენ არ ხართ მშობიარე, ჩვენ გირჩევთ, რომ გაიაროთ ტესტი GBS-ზე, როდესაც მიხვალთ საავადმყოფოში. შეიძლება გამოგწერონ სახლში და გირჩიონ დაელოდო შედეგს (შედეგის მიღებას შეიძლება 6 საათამდე დრო დასჭირდეს).

#### თუ თქვენი GBS ნაცხის პასუხი დადებითია

ჩვენ დაგიკავშირდებით ტელეფონით და გირჩევთ, რომ დაბრუნდეთ საავადმყოფოში. როდესაც დაბრუნდებით, გირჩევთ:

- ბავშვის დაბადებამდე ყოველ 4 საათში ერთხელ წვეთოვანი ანტიბიოტიკების გადასხმა, რათა შემცირდეს ბავშვზე GBS-ის გადაცემის რისკი
- მშობიარობის დაწყება (ინდუქცია), რადგან ეს შეამცირებს თქვენს პატარას დაბადებამდე GBS-ის ზემოქმედების დროს

#### თუ თქვენი GBS ნაცხის პასუხი უარყოფითია

იმის გამო, რომ თქვენი ბავშვისთვის რისკი საგრძნობლად მცირდება, ჩვენ გირჩევთ დაიწყოთ მშობიარობა (ინდუქცია) 24 საათის განმავლობაში წყლის დაღვრის მომენტიდან.

საავადმყოფოს პერსონალი დაგიკავშირდებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი GBS ნაცხის შედეგი დადებითია